ხელშეკრულება№ II -4/186

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 13 ივნისი 2016წ.

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ირაკლი ღვალაძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს „ქართუ-უნივერსალი" მისი დირექტორის გიორგი ჭყონიას სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის საკუთარი შემოსავლების სახსრებიდან, რძის პროდუქტების (CPV 15500000) შეძენა.

2. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის კაფისათვის, შემდეგი პროდუქტის (CPV 15555100 - ნაყინი) შეძენა დანართი #1-ის შესაბამისად.

2.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მთლიანი ღირებულება შეადგენს 3000.00 (სამი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა და ადგილი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების ვადა: 2016 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით (ეტაპობრივად მოთხოვნის შესაბამისად).

3.2. საქონლის მოწოდების ადგილი: ქ. თბილისი, კუს ტბის შესახვევი #1.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემოწმებით თუ მოწოდებული საქონელი აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას, მხარეთა შორის ფორმდება შუალედური მიღება-ჩაბარების აქტები, რომელიც ხელმოწერით უნდა დაამოწმონ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილმა პირებმა.

4.2. საქონელი ჩაითვლება სრულად შესყიდულად საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. საქონლის შესყიდვის ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება ფაქტიურად მოწოდებულ საქონელზე წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, სასაქონლო ზედნადებებისა და ორმხრივად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

5.2. ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

6.1.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

6.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს დეტალური ინფორმაცია მოსაწოდებელი საქონლის შესახებ.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. გადაიხადოს საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;

6.2.2. მოწოდებული საქონლის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა;

6.2.3. 2015 წლის 28 მაისის #II-1/126 ხელშეკრულების შესაბამისად მოწოდებული მაცივარი („კრისტალი"Venus36SGL) გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის (ნაყინი) რეალიზაციის მიზნით, კერძოდ, მასში მხოლოდ მომწოდებელის პროდუქციის მოთავსების და ამ პროდუქციის რეალიზაციის მიზნით; უზრუნველყოს, რომ მაცივარში მოთავსებული იყოს მხოლოდ მომწოდებლის პროდუქცია; მაცივრის დაკარგვის, დაზიანების ან/და განადგურების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს მომწოდებელს ამის შესახებ.

6.2.4. ყველა ხარჯი, დაკავშირებული მაცივრის შენახვასთან, ეკისრება შემსყიდველს. ასევე პასუხისმგებელია მაცივრის ნებისმიერი სახის დაზიანებაზე. გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაზიანება გამოწვეულია მაცივრის ან მისი ცალკეული ნაწილების ექსლუატაციის ვადის გასვლით ან ბუნებრივი ცვეთით.

6.2.5. შემსყიდველი პასუხისმგებელია მაცივრის დაცვაზე დაზიანებისგან, განადგურებისგან, ასევე ქურდობისგან და ნებისმიერი სხვა სახით დაკარგვისგან; მაცივრის ქურდობის ან სხვა სახით გატაცების, დაკარგვის ან განადგურების (განადგურებას უთანაბრდება მაცივრის ისეთი დაზიანება, რის შედეგადაც ის უვარგისი ხდება გამოყენებისთვის) შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია ასეთი შემთხვევის დადგომიდან ერთი კვირის ვადაში (ა) შეიძინოს და საკუთრებაში გადასცეს მიმწოდებელს იგივე სახის მაცივარი ან (ბ) აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი (მაცივრის საბაზრო ღირებულება პლუს დღგ.)

6.2.6. დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები.

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. მოაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

6.4.2. მოწოდებული საქონლის ნაკლოვანების შემთხვევაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს აღნიშნული ნაკლის გამოსწორება;

6.4.3. წინასწარ აცნობოს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;

6.4.4. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე და ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს ნებისმიერი ზიანი, რომელიც მას შეიძლება მიადგეს უხარისხო ან საქონლის მოწოდების გამო.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს საქონლის მოწოდების ვალდებულებისაგან.

7.4. თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს საანგარიშსწორებო პერიოდისათვის მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 10 %-ს შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

8.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და არსებული სტანდარტების მოთხოვნებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე ადგენს აქტს შესაბამისი წესის შესაბამისად.

8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, ირინე კუპრაშვილი - მომარაგების ჯგუფის სპეციალისტი.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ''ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების

შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. არავითარი გადახდა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.4. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11.2. მიმწოდებელს უფლება აქვს ვადაზე ადრე მაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

11.3. ხელშეკრულებით ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მოწოდებული საქონლის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოება და დავა.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს.

13. დასკვნითი დებულებანი

13.1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მხარეების მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.3. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.4. მესამე პირთან ურთიერთობაზე მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯითა და რისკით.

13.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“
საიდენტ: 204468664
მის: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ.№3.
ტელ: 298 21 35.
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 708467499

ირაკლი ღვალაძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

„მიმწოდებელი“

შპს „ქართუ-უნივერსალი“
მის.იურიდ: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი II ჩიხი №11.
ტელ: 595 00 96 50 (გიორგი), 591 900 990
საიდენტ: 204885874
სს „ბანკი ქართუ“
კოდი: CRTUGE22
ა/ა GE74CR0000004677073606
საფოსტო მისამართი: finances@cartu-universal.com

გიორგი ჭყონია
დირექტორი

დანართი **#1.**

#	ნომენკლატურა/ ნომენკლატურის მახასიათებელი	ერთეულის ფასი
	ნაყინი	
	ესკიმო "თოლია" 2015	
1	ნაყინი ესკიმო ვანილის ნაყინი მუქი შოკოლადის სარკალში (60)	0,5
2	ნაყინი ესკიმო ვანილის ნაყინი რძიანი შოკოლადის სარკალში (60)	0,5
3	ნაყინი ესკიმო შოკოლადის ნაყინი მუქი შოკოლადის სარკალში (60)	0,5
	ესკიმა	
1	ნაყინი ესკიმა ვანილი რძიანი შოკოლადის სარკალში. (50)	0,75
2	ნაყინი ესკიმა ვანილი მუქი შოკოლადის სარკალში არაქისით (50)	0,75
3	ნაყინი ესკიმა შოკოლადის მუქი შოკოლადის სარკალში არაქისით (50)	0,75
	თოლია	
1	ნაყინი თოლია ვანილი	0.50
2	ნაყინი თოლია კარამელით	0.50
3	ნაყინი თოლია ჯემით მარწყვის ჯემით	0.50
4	ნაყინი თოლია შოკოლადი	0.50
5	ნაყინი თოლია თხევადი შოკოლადით	0.50
	კონო	
1	ნაყინი კონო ვანილი კარამელით რძის სარკალში(40)	0,67
2	ნაყინი კონო კრემბრიულე მუქი შოკოლადის სარკალში(40)	0,67
3	ნაყინი კონო შოკოლადი მუქი შოკოლადის სარკალში თხევადი შოკოლადით (40)	0,67
	ლოლო	
1	ნაყინი ლოლო ვანილი	0,75
2	ნაყინი ლოლო მარწყვი	0,75
3	ნაყინი ლოლო შოკოლადი	0,75
	საოჯახო	
1	ნაყინი 1000 მლ. ვანილი	4,2
2	ნაყინი 1000 მლ. ვანილი-შოკოლადი	4,2
3	ნაყინი 1000 მლ. შოკოლადი	4,2
	საოჯახო 1კგ	
1	ნაყინი 2000 მლ შოკოლადი	8
2	ნაყინი 2000 მლ. ვანილი	8
	საოჯახო 2,5 კგ	

1	ნაყინი საოჯახო 2,5 კგ ვანილი-შოკოლადი -კრემბრულე	16,8
2	ნაყინი საოჯახო 2,5კგ ვანილი-შოკოლადი	16,8
3	ნაყინი საოჯახო 2,5კგ ვანილის	16,8
4	ნაყინი საოჯახო 2,5კგ ბანანი-კივი-მარწყვი	16,8
	საოჯახო ჯემიანი	
1	ნაყინი საოჯახო 900 მლ ვანილი მარწყვის ჯემით	5.4
2	ნაყინი საოჯახო 900 მლ თხევადი შოკოლადით	5.4
3	ნაყინი საოჯახო 900 მლ კარამელით	5.4
	სენდვიჩი	
1	ნაყინი სენდვიჩი ვანილი შოკოლადი(50)	0,83
2	ნაყინი სენდვიჩი კრემბრიულე (50)	0,83
3	სენდვიჩი ყავა	0.63
4	სენდვიჩი ვანილი	0.63
	ნაყინები "კამპარა"	
	"ინდიგო"	
1	ნაყინი ინდიგო ვანილი რძის სარკალში (50)	1,24
2	ნაყინი ინდიგო ვანილის მუქი შოკოლადის სარკალში (50)	1,24
3	ნაყინი ინდიგო შოკოლადი მუქი შოკოლადის სარკალში (50)	1,24
	ნუვო	
1	ნაყინი ნუვო ვანილი კარამელით რძის სარკალში არახისით (40)	1
2	ნაყინი ნუვო შოკოლადი შედედებული რძით მუქი შოკოლადის სარკალში არახისით (40)	1
	ჯენიო	
1	ნაყინი ჯენიო რძიანი შოკოლადით (50)	1
	არომა	
1	ნაყინი არომა 900მლ. ვანილი მარწყვის ჯემით	5.7
2	ნაყინი არომა 900მლ. ვანილი შოკოლადით	5.7
3	ნაყინი არომა 900მლ. ვანილი ალუბლის ჯემით	5.7
4	ნაყინი არომა 900მლ. ვანილი კარამელით	5.7

ირაკლი ოვალაძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

ეროვნული მუზეუმი
GEORGIAN NATIONAL MUSEUM
204469664

გიორგი ჭყონია
დირექტორი

GEORGIA
„ქართუ-უნივერსალი"
"CARTU-UNIVERSAL"
LTD
204885874